საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანაკოფიის ბრძოლა

ანაკოფიის ბრძოლა, ბრძოლა ქართლის ერისმთავრისა და აფხაზთა ერისთავის გაერთიანებულ მხედრობასა და არაბთა ლაშქარს შორის VIII ს. 30-იან წლებში, ანაკოფიის ციხე-ქალაქთან.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ამ ბრძოლაში ქართველთა და აფხაზთა ლაშქარმა, რ-საც სათავეში ედგნენ სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის ძეები მირი და არჩილი, დაამარცხა არაბები, რ-თაც სარდლობდა მურვან ყრუ, რის შემდეგ ისინი დას. საქართველოდან უკუიქცნენ.

„დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ მიხედვით კი ქართველთა მცირე ლაშქარი ამ ბრძოლაში დამარცხებულა და შემდეგ არაბებს ეგრის-აფხაზეთის მთელი ზღვის სანაპირო აუოხრებიათ.

წყარო: დავით და კონსტანტინეს მარტვილობა, წგ.: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946; ჯუანშერი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955.

ა. ბოგვერაძე